

აჭარის ჩემპიონატი
სპორტულ კარატეში

16 თებერვალი, 2025
ბათუმი

დებულება დამტკიცებულია
აჭარის კონტაქტური და სპორტული კარატეს ფედერაციის მიერ

ორგანიზატორი

- აჭარის კონტაქტური და სპორტული კარატეს ფედერაცია

მხარდამჭერი ორგანიზაცია

- აჭარის განათლების, კულტურისა და სპორტის სამინისტრო

საორგანიზაციო საკითხები

ტურნირის საორგანიზაციო კომიტეტის თავმჯდომარე:

- ლევან ცინცაძე - 593 84 70 70
- ნუგზარ ხიმშიაშვილი - 557 68 56 56

ტურნირის მსაჯობა

ტურნირს იმსაჯებენ კარატეს მსოფლიოსა და ევროპის ფედერაციის, ასევე საქართველოს სპორტული კარატეს ეროვნული ფედერაციის მიერ აკრედიტებული მსაჯები.
ტურნირის მთავარი მსაჯი: ნუგზარ ხიმშიაშვილი.

ტურნირის მიზნები და ამოცანები

- აჭარის ავტონომიურ რესპუბლიკაში სპორტული კარატეს განვითარება და პოპულარიზაცია;
- სპორტსმენების და მსაჯების ხელშეწყობა, გამოცდილების მიღების და დონის ამაღლების მიზნით;
- საპასუხისმგებლო შეჯიბრების წინ სპორტსმენების სათანადო სპორტულ კონდიციაში მოყვანა;
- აღნიშნულ ტურნირს ასევე აქვს, სპორტსმენთა საკვალიფიკაციო და სარეიტინგო მნიშვნელობა აჭარის რეგიონში;
- აჭარის რეგიონის სპორტული კარატეს ნაკრების გამოვლენა.

ტურნირის სარეგისტრაციო პირობები

სპორტსმენები ტურნირში იასპარეზებენ იმ ასაკობრივ კატეგორიაში, რომელიც შეესაბამება ტურნირის ჩატარების დღეს, 2025 წელს 16 თებერვალს.
ტურნირზე მონაწილეობის მსურველები უნდა დარეგისტრირდნენ ონლაინ ფლატფორმაზე www.sportlab.ge შესაბამის ასაკობრივ და წონით კატეგორიაში არაუგვიანეს 2025 წლის 14 თებერვლისა, წინააღმდეგ შემთხვევაში სპორტსმენი შეჯიბრზე არ დაიშვება.

ასპარეზობაში მონაწილე სპორტსმენების ჯანმრთელობაზე პასუხისმგებელია მისი წარმდგენი სპორტული კლუბის ხელმძღვანელი.

ჩემპიონატზე მონაწილეობა უფასოა.

ტურნირზე მოქმედი წესები

ტურნირი ჩატარდება მსოფლიო კარატეს ფედერაციის (WKF) დამტკიცებული წესებით.

სპორტსმენი რომელიც 1 წუთის განმავლობაში არ გამოცხადდება ტატამზე **WKF-მიერ დამტკიცებული შესაბამისი აღჭურვილობით** (კაპა, შესაბამისი ფერის ქამარი და კარატეს ამუნიცია), დისკვალიფიცირებული იქნება ასპარეზობიდან.

„კაპა“, დამცავი ჟილეტი სავალდებულოა ყველა ასაკში, როგორც გოგონებში ისე ვაჟებში. საზარდულის დამცავი ვაჟებში, ხოლო გოგონებში მკერდის დამცავი, ასევე სავალდებულოა ყველა ასაკში.

საორგანიზაციო კომიტეტის მიერ განსაზღვრული იქნება დარბაზში მოქმედების წესები, რომელთა დაცვა სავალდებულო იქნება, როგორც სპორტული კლუბების წარმომადგენლებისათვის, ასევე გულშემატკივრებისათვის.

სპორტული კლუბის წარმომადგენლის ან გულშემატკივრის მხირდან არაეთიკური საქციელი უმალ დაფიქსირდება ტურნირის სამსაჯო კომიტეტის მიერ და გამოტანილი იქნება შესაბამისი დისციპლინარული სასჯელი.

მწვრთნელი სპორტული ფორმის გარეშე ტატამთან არ დაიშვება, ხოლო არაეთიკური საქციელის შემთხვევაში დისკვალიფიცირებული იქნება შეჯიბრებიდან.

სპორტსმენების აწონვა განხორციელდება 2025 წლის 15 თებერვალს, 10 საათიდან 14 საათამდე მისამართზე: ეგნატე ნინოშვილის 2, ბათუმი, პორტა თაუერი. აქონვების დროს სპორტსმენმა სავალდებულოა იქონიოს დაბადების მოწმობა, პირადობა ან პასპორტი.

სპორტსმენის წონა ზუსტად უნდა აკმაყოფილებდეს წონითი კატეგორიის მოთხოვნას. სპორტსმენი, რომელიც ვერ დააკმაყოფილებს აღნიშნულ პირობას შეჯიბრებიდან დისკვალიფიცირებული იქნება, მას სარეიტინგო ქულა არ დაეწერება. ყველა სპორტსმენი ვალდებულია გამოცხადდეს მოსამზადებელ არეალში შეჯიბრების ორგანიზატორების მიერ გამოცხადებიდან არაუგვიანეს 15 წუთისა, რომელზეც სრული პასუხისმგებლობა ეკისრება უშუალოდ მწვრთნელს, დაგვიანების შემთხვევაში სპორტსმენი შეჯიბრებიდან მოიხსნება.

ასპარეზობის ასაკობრივი და წონითი კატეგორიები

ასაკი	ვაჟები	დრო, წთ	ასაკი	გოგონები	დრო, წთ
12-13	-40კგ, -45კგ, -50კგ, -55კგ, +55კგ	1.5	12-13	-42კგ, - 47კგ, -52კგ, +52კგ	1.5
14-15	-52კგ, -57კგ, -63კგ, -70კგ, +70კგ	2	14-15	-47კგ, -54კგ, -61კგ, +61კგ	2
16-17	-55კგ, -61კგ, -68კგ, -76კგ, +76კგ	2	16-17	-48კგ, -53კგ, -59კგ, -66კგ, +66კგ	2
18-20	-60კგ, -67კგ, -75კგ, -84კგ, +84კგ	3	18-20	-50კგ, -55კგ, -61კგ, -68კგ, +68კგ	3
+18	-60კგ, -67კგ, -75კგ, -84კგ, +84კგ	3	+18	-50კგ, -55კგ, -61კგ, -68კგ, +68კგ	3

სპორტსმენების წილისყრა განხორციელდება 15 თებერვალს.

შენიშვნა:

არ შეძლება სხვადასხვა ასაკობრივ ან წონით კატეგორიაში ერთი და იგივე სპორტსმენის რეგისტრაცია.
შეჯიბრება წარიმართება დამამშვიდებელი სისტემით.

ტურნირის პროგრამა

14 თებერვალი 2025 წ. - ჩემპიონატზე რეგისტრაციის დასრულება
15 თებერვალი, 2025 წ. - აწონვები, 10 საათიდან 14 საათამდე მისამართზე:
ეგნატე ნინოშვილის 2, ბათუმი, პორტა თაუერი.

16 თებერვალი 2025 წ.:

- ასპარეზობის დაწყება 10:00
- დასრულებული კატეგორიების დაჯილდოების ცერემონია - წონითი კატეგორიის დასრულებისთანავე.

აღნიშნული ჩემპიონატი წარმოადგენს აჭარის რეგიონის სარეიტინგო ასპარეზობას და სპორტსმენებს შედეგების მიხედვით დაეწერებათ შესაბამისი ქულები.

შეჯიბრის საორიენტაციო განრიგი

15 თებერვალს ონლაინ პლატფორმაზე www.sportlab.ge გამოქვეყნდება ტურნირის შესაბამისი კატეგორიების დროის განრიგი და შეჯიბრების მონაწილეთა სიები.

შენიშვნა:
ორგანიზატორები იტოვებენ უფლებას შეჯიბრის მსვლელობის პერიოდში მოახდინონ ცვლილებები, რის შესახებაც მონაწილეებს ეცნობებათ საჯაროდ.

აჭარის კონტაქტური და სპორტული კარატეს
ფედერაციის პრეზიდენტი

ლევან ცინცაძე

სარეგისტრაციო ფორმა

#	სპორტსმენის გვარი, სახელი	დაბადების თარიღი	კუმიტე		კატა	კლუბი	პირადი მწვრთნელი
			ასაკი (წ)	წონა (კგ)	ასაკი		
1							
2							
3							
4							
5							
6							
7							
8							
9							
10							
11							
12							
13							
14							
15							
16							
17							
18							
19							
20							